

ეტიუდები ქართულ-ბერძნული ურთიერთობის  
ისტორიიდან  
ARTICLES ON HISTORY OF GEORGIAN-GREEK RELATION

ვალერი ასათიანი  
Valeri Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** აია-კოლხეთი, ქუთაისი, ხვამლი, ლეჩხუმი,  
მაქსიმე აღმსარებელი

**Keywords:** Aya-Colkheti, Kutaisi, Khvamili, Lechkhumi, St. Maximus the  
Confessor

ანტიკური სამყაროს ურთიერთობას ოდინდელ საქართველოსთან (აია-კოლხეთი, ქუთაისი...) ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ტრადიციათა წარმოქმნა აიხსნება როგორც ბერძნული კულტურის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით, ასევე მოსახლეობის უშუალო კონტაქტებით, რამაც ასახვა პოვა მითოლოგიაში, მხატვრულ ლიტერატურასა და მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებში.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ძველ საქართველოში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ბერძნულიდან ქართულად ინტენსიურად ითარგმნება აგიოგრაფიული თხზულებები, თეოლოგიური ტრაქტატები.

ლეჩხუმის ისტორია უკავშირდება გვიანპალეოლითისა და ადრენეოლითის ხანას. წლების განმავლობაში მეცნიერები იკვლევდნენ ხვამლის მთას, რაც 1990 წლიდან გრძელდება.

მე-7 საუკუნის ბერძნული პირველწყაროების გადმოცემით, წმ. მაქსიმე აღმსარებელმა სიცოცხლის ბოლო წლები ლაზიკაში (დასავლეთ საქართველოში) გაატარა ციხე-სიმაგრე სხიმარისთან, სადაც აღესრულა.

### **ლიტერატურა:**

- ურუშაძე, აკ. (1964). ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- ლორთქიფანიძე, ო. (1966). ანტიკური სამყარო და კოლხეთი. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- გორდუზიანი, რ. (2019). ბერძნული ცივილიზაცია. I, თბილისი, „სულაკაურის გამომცემლობა“.
- ასათიანი, ვ. (2021). ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“.

The relations between the antique world and the people of Ancient Georgia (Aya-Kolchetai, Kutaisi) are long-standing. Two factors can easily serve to the emergence of these traditions: one is the general, global significance of the Greek culture, and the other-close

Greco-Georgian populace, which was reflected in the mythology, literature and numerous historical monuments. After Christianity became the established religion in old Georgia, the most favourable conditions were created to have better relations with Byzantine. Those ages witnessed intensive translations of hagiographical pieces and theological treatises from Greek into Georgian.

The history of Lechkhumi starts from the late Paleolithic-early Neolithic Ages. Since 1990, a lot of scientists tried to study Khvamli. According to the Greek primary sources of the 7<sup>th</sup> century, St Maximus the Confessor spent his final days Lazica (Western Georgia), near the fortress Skhimarisi, where he died.

#### **References:**

- Asatiani, V. (2019). Antikuri Kultura, Bizantia da Saqartvelo. [Antique Culture, Bizantium and Georgia]. Tbilisi, LOGOS.
- Gordeziani, R. (2019). Berdznuli Civilizacia. [Greek Civilization], I. Tbilisi, Sulakauri Publishing House.
- Lortqifanidze, O. (1966). Antikuri Samyaro da Kolkheti. [The Antique World and Ancient Kolchis. TSU Publishing House
- Urushadze, Ak. (1964). Dzveli Kolxeti Argonavtebis Tqmulebashi. [Ancient Colchis and Myth of Argonauts. TSU Publishing House



წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და  
სიტყვათა რიგი არაბულში  
THE INFORMATION STRUCTURE AND WORD ORDER IN  
ARABIC

რუსუდან ასათიანი  
Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სიტყვათა რიგის ტიპოლოგია, არაბულის  
მორფოსინტაქსი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა,  
კოგნიტიური ინტერპრეტაცია

**Keywords:** Word Order Typology, Arabic Morphosyntax, Information  
Structure, Markedness, Cognitive Interpretation